მანანა ღურჭუმელიძე თანამდებობიდან გადადგა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე თანამდებობიდან გადადგა.

როგორც `ინტერპრესნიუსს~ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს, მანანა ღურჭუმელიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით აღნიშნული პროფკავშირის აღმასრულებელ საბჭოს მიმართა და პრეზიდენტის უფლებამოსილება მოიხსნა.

`უახლოეს ხანში ჩატარდება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც მას პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეუწყვეტს და ორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელს აირჩევს. რიგგარეშე არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტი, აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე ალექსანდრე ბერიძე ასრულებს~, _ აცხადებენ პროფკავშირში.

პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებისა და ყრილობის ჩატარებამდე ორგანიზაციის საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და პედაგოგთა პროფკავშირის ერთობლივი სპეციალური კომისია, რომელიც 2010 წლის 17 ივლისს შეიქმნა. მას პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს.

კომისია სულ 11 წევრისგან შედგება. მასში პედაგოგთა პროფკავშირის 5 წევრია შესული. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებიდან კი ის პირები, რომლებიც სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიაში არიან წარმოდგენილი.